საინტერესო და აქტუალური ნაშრომი - კლასტერების მენეჯმენტი

(ევგენი ბარათაშვილი, ირმა ბარათაშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 535 გვ.)

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში კლასტერების პრობლემას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა. განიხილება მათი ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და განვითარების სხვადასხვა ასპექტი. კერძოდ, შეისწავლება: კლასტერების, როგორც რეგიონის კონკურენტული უპირატესობის მნიშვნელოვანი ფაქტორის როლი; კლასტერების, როგორც რეგიონული ეკონომიკის დინამიკის განსაკუთრებული მიმართულების მნიშვნელობა; მათი, როგორც მცირე და საშუალო ფირმების ოპტიმალური ურთიერთქმედების ფორმის შეფასება; ურთიერთკავშირი კლასტერებს, ინოვაციურ აქტივობასა და სწავლების ხარისხს შორის განათლების რეგიონულ სისტემაში; სამუშაო ძალის ღირებულების დიფერენციაცია სამრეწველო კლასტერების ყველა სტრუქტურულ რგოლში; მაღალტექნოლოგიური კლასტერების პოზიციების ანალიზი რეგიონულ ფერმათაშორის ქსელებში, კლასტერების როლი რეგიონული ინოვაციური სისტემის შექმნაში. ამასთან, კლასტერების განვითარების კვლევები რეგიონული საწარმოო კლასტერების ფუნქციონირების კომპლექსურობისა და სისტემურობის თვალსაზრისით არასაკმარისადაა შესწავლილი.

დარგის ევოლუციის პროცესმა შეიძლება, მიგვიყვანოს კლასტერების შექმნამდე ან გაფართოებამდე, რაც სცილდება დარგის ფარგლებს და წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების მძლავრ ძალას. ეს პროცესი დამოკიდებულია საბაზრო ურთიერთობათა მდგომარეობაზე, სამეწარმეო გარემოს მრავალფეროვნებაზე, კონკურენციის დონეზე, ასევე, სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკასა და მისი შემდგომი განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებზე. მეწარმეობის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემო ხელს უწყობს კონკურენტების რიცხვის სწრაფ ზრდასა და თანამშრომლობისთვის პარტნიორების ძიების ინტენსივობას. საბოლოო პროდუქტის მწარმოებელი დარგები წარმოქმნის მხარდამჭერ კონკურენტუნარიან საწარმოებს. წარმატებული კონკურენტუნარიანი დარგების კლასტერები წარმოგვიდგება ვერტიკალური ჯაჭვის სახით, რომელიც შედგება მოწყობილობებითა და სხვა სპეციალიზებული რესურსებით უზრუნველმყოფი საწარმოებისა და მომწოდებლების მრავალრიცხოვანი თანამიმდევრული საფეხურისგან. კლასტერების წარმოქმნა აჩქარებს პროცესს ცალკე აღებულ, რომელიმე დარგში, იწვევს ინოვაციათა ბუმს და განამტკიცებს კონკურენციის უნარს მსოფლიო ბაზარზე. გარე ფაქტორებისა და ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებებიდან გამომდინარე, კლასტერები იქმნება, ფართოვდება, ღრმავდება, არახელსაყრელ პირობებში კი, დროთა განმავლობაში, იშლება კიდეც. კლასტერების მსგავსი დინამიკურობა და მოქნილობა კიდევ ერთი უპირატესობაა ეკონომიკური სისტემის ორგანიზაციის სხვა ფორმებთან შედარებით.

საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების მრეწველობაში ინტეგრაციული პროცესების განვითარების გამოცდილება მოწმობს, რომ ინტეგრირებული სტრუქტურები, რომლებიც აერთიანებენ საბოლოო პროდუქტის წარმოების ყველა რგოლს, საბაზრო ეკონომიკაში უფრო ეფექტიანია. ამასთან, წარმოების კონცენტრაციის პროცესი ხელს უწყობს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და მუდმივი დანახარჯების შემცირებას. საუკეთესო საწარმოებში კონცენტრაციას თან ახლავს ყველა ტექნოლოგიური პროცესის სრულყოფა, მართვის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემების ათვისება, შრომის პირობების გაუმჯობესება, კომპლექსური ტექნიკური და ტექნოლოგიური პოლიტიკა, რაც აუმჯობესებს როგორც წარმოების ფაქტორებს, ისე სამრეწველო წარმოებას. ამრიგად, წარმოდგენილი მეცნიერული მიდგომა საძირკველს ჩაუყრის რეგიონული საწარმოო კომპლექსის აღორძინებასა და ფორმირებას, ინოვაციური განვითარების, ასევე, არსებული რესურსების ბაზისა და რეგიონული პოტენციალის რაციონალური პრინციპებით გამოყენებას.

წიგნის არქიტექტონიკა და გამოკვლევის ლოგიკა სრულად ექვემდებარება დასავლეთის პრაქტიკაში ამ ხასიათის თანამედროვე გამოკვლევებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ის აგებულია დასავლეთში აპრობირებული კლასტერების მენეჯმენტის სწავლების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტებისათვის, თუმცა, ჩვენი აზრით, იგი დიდ ინტერესს გამოიწვევს იმ მენეჯერებში, რომელთა ბიზნესი კლასტერულ ურთიერთობებს უკავშირდება და იმ მეცნიერ-მკვლევარებში, რომელთა დაინტერესების სფერო ბიზნესის ადმინისტრირებაა.

წიგნის ყურადღებით გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ იგი შესრულებულია პრობლემის არსში ავტორების სიღრმისეული წვდომის, სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულებების კრიტიკული ანალიზის, კვლევის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების ორგანული შეხამების საფუძველზე. საკითხები გადმოცემულია მარტივი და გასაგები ენით, ნაშრომი სტილისტურად დახვეწილია, აზრობრივად გამართული და კარგად იკითხება.

ბადრი გეჩბაია,
ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
ჟურნალის „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“
მთავარი რედაქტორი